

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2019 წლის 26 აგვისტო

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 24-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის თანახმად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №51 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 27/12/2018, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.156.016350) დანართი №1-ში და დანართის თავი I ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დმანისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მერაბ ოქრიაშვილი

დანართი №1

თავი I

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით.

№	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
I	შემოსავლები	7,412.6	8,622.3	2,018.6	6,603.7	14,795.7	5,981.7	8,814.0
1.1	გადასახადები	1,635.7	1,550.0	0.0	1,550.0	6,289.0	0.0	6,289.0
1.3	გრანტები	4,708.4	5,769.8	2,018.6	3,751.2	5,981.7	5,981.7	0.0
1.4	სხვა შემოსავლები	1,068.5	1,302.5	0.0	1,302.5	2,525.0	0.0	2,525.0
II	ხარჯები	3,260.1	4,232.5	130.0	4,102.5	5,339.4	638.1	4,701.3
2.1	შრომის ანაზღაურება	892.2	1,326.4	61.8	1,264.6	1,420.0	69.0	1,351.0
2.2	საქონელი და მომსახურება	898.6	1,006.5	21.2	985.3	1,520.5	364.9	1,155.6
2.4	პროცენტი		55.0		55.0	55.0		55.0
2.5	სუბსიდიები	1,239.1	1,485.0	45.0	1,440.0	1,848.6	52.2	1,796.4



2.6	გრანტები	20.0	20.0	0.0	20.0	25.0	0.0	25.0
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	207.6	250.9	2.0	248.9	232.0	2.0	230.0
2.8	სხვა ხარჯები	2.6	88.7	0.0	88.7	238.3	150.0	88.3
III	საოპერაციო სალდო	4,152.5	4,389.8	1,888.6	2,501.2	9,456.3	5,343.6	4,112.7
IV	არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,962.0	5,960.2	2,259.0	3,701.2	14,625.9	7,151.6	7,474.3
	ზრდა	2,969.8	5,975.2	2,259.0	3,716.2	14,630.9	7,151.6	7,479.3
	კლება	7.8	15.0	0.0	15.0	5.0	0.0	5.0
V	მთლიანი სალდო	1,190.5	-1,570.4	-370.4	-1,200.0	-5,169.6	-1,808.0	-3,361.6
VI	ფინანსური აქტივების ცვლილება	-1,121.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ზრდა	0.0	1,570.4	370.4	1,200.0	5,169.6	1,808.0	3,361.6
32.1.2	ვალუტა და დეპოზიტები	0.0	1,570.4	370.4	1,200.0	5,169.6	1,808.0	3,361.6
	კლება	1,121.4	1,570.4	370.4	1,200.0	5,169.6	1,808.0	3,361.6
	ვალუტა და დეპოზიტები	1,121.4	1,570.4	370.4	1,200.0	5,169.6	1,808.0	3,361.6
32.1.4	სესხები							
32.1.5	აქციები და სხვა კაპიტალი							
32.1.8	სხვა დებიტორული დავალიანებები							
VII	ვალდებულებების ცვლილება	-69.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ზრდა							
33.1	საგარეო							
	საშინაო	0.0						
	კლება	69.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
33.1	საგარეო							
	საშინაო	69.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
VIII	ბალანსი	0.0				0.0	0.0	0.0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის
ცვლილება თანდართული რედაქციით:

		2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
--	--	-----------------	-----------------



დასახელება	2017 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	7420.4	10207.7	2389.0	7818.7	19970.3	7789.7	12180.6
შემოსავლები	7412.6	8622.3	2018.6	6603.7	14795.7	5981.7	8814.0
არაფინასური აქტივების კლება	7.8	15.0	0.0	15.0	5.0	0.0	5.0
ფინასური აქტივების კლება	0.0	1570.4	370.4	1200.0	5169.6	1808.0	3361.6
გადასახდელები	6299.0	10207.7	2389	7818.7	19970.3	7789.7	12180.6
ხარჯები	3260.1	4232.5	130.0	4102.5	5339.4	638.1	4701.3
არაფინასური აქტივების ზრდა	2969.8	5975.2	2259.0	3716.2	14630.9	7151.6	7479.3
ნაშთის ცვლილება	69.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 14795.7 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	7412.5	8622.3	2018.6	6603.7	14795.7	5981.7	8814.0
გადასახადები	1635.7	1550.0		1550.0	6289.0		6289.0
გრანტები	4708.3	5769.8	2018.6	3751.2	5981.7	5981.7	0.0
სხვა შემოსავლები	1068.5	1302.5		1302.5	2525.0		2525.0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 6289,0 ათასი ლარის ოდენობით:

		2018 წლის გეგმა		2019 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის	



დასახელება	2017 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1635.6	1550.0	0.0	1550.0	6289.0	0.0	6289.0
დღგ		0.0			4939.0		4939.0
საშემოსავლო გადასახადი	224.5	200.0	0.0	200.0	0.0	0.0	0.0
ქონების გადასახადი	1411.1	1350.0	0.0	1350.0	1350.0	0.0	1350.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	899.9	900.0	0.0	900.0	900.0	0.0	900.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	426.6	445.0	0.0	445.0	440.0	0.0	440.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	83.3	5.0	0.0	5.0	10.0	0.0	10.0
სხვა გადასახადები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 5981.7 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	207 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
გრანტები	4708.3	5769.8	5981.7
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4708.3	5769.8	5981.7
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	2869.0	3881.2	1008.1
გათანაბრებითი ტრანსფერი	2739	3751.2	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	130.0	130.0	1008.1
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1839.3	1888.6	4973.6
საქ.რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	1562.8	1888.6	3347.6
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0	0	686
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის თანხები	0.0		
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი	276.5	0.0	940.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0	0	0.0



მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2525.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	1068.5	1302.5	0.0	1302.5	2525.0	0.0	2525.0
შემოსავლები საკუთრებიდან	804.5	1100.0	0.0	1100.0	2330.0	0.0	2330.0
პროცენტები	0.5	160.0	0.0	160.0	80.0		80.0
რენტა	804.0	940.0	0.0	940.0	2250.0	0.0	2250.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	752.5	810.0		810.0	2030.0		2030.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	51.5	130.0		130.0	220.0		220.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	35.0	62.5	0.0	62.5	81.0	0.0	81.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	18.2	22.5	0.0	22.5	36.0	0.0	36.0
სანებართვო მოსაკრებელი	5.2	2.5		2.5	5		5.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1.4	0.0		0.0	1		1.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	11.6	20.0		20.0	30		30
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.0	0.0		0	0		0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	16.8	40.0	0.0	40.0	45.0	0.0	45.0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0.0	0.0		0.0	0.0		0.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	16.8	40.0		40.0	45.0	0.0	45.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	72.7	120.0		120.0	79.0		79.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	156.3	20.0	0.0	20.0	35.0		35.0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5339.4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:



დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	3,259.8	4,232.5	130.0	4,102.5	5,339.4	638.1	4,701.3
შრომის ანაზღაურება	892.2	1,326.4	61.8	1,264.6	1,420.0	69.0	1,351.0
საქონელი და მომსახურება	898.3	1,006.5	21.2	985.3	1,520.5	364.9	1,155.6
პროცენტი		55.0		55.0	55.0	0.0	55.0
სუბსიდიები	1,239.1	1,485.0	45	1,440.0	1,848.6	52.2	1,796.4
გრანტები	20.0	20.0		20.0	25.0		25.0
სოციალური უზრუნველყოფა	207.6	250.9	2.0	248.9	232.0	2.0	230.0
სხვა ხარჯები	2.6	88.7		88.7	238.3	150.0	88.3

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 14625.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 14630.9 ათასი ლარის ოდენობით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	43.0	55.00	155.00
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2926.8	5920.2	13929.8
04 00	განათლება	0.0	0.0	520.0
0500	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის სელშეწყობა და სპორტი	0.0	0.0	26.1
სულ ჯამი		2969.8	5975.2	14630.9

ბ) განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 5.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	7.8	15.0	5.0
მირითადი აქტივები	5.4	10.0	0.0



არაწარმოებული აქტივები	2.4	5.0	5.0
მიწა	2.4	5.0	5.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაგციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,654.5	2,285.2	2,505.9
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	0.0	0.0	0.0
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,654.5	2,285.2	2,505.9
ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0		
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0		
თავდაცვა	61.9	66.0	75.8
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0
პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0.0	0.0	
ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0.0	0.0	0.0
ეკონომიკური საქმიანობა	2,292.6	4,111.4	7,864.5
სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0.0		
სოფლის მეურნეობა			
ტრანსპორტი	0.0		
საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,292.6	4,111.4	7,864.5
გარემოს დაცვა	252.4	330.0	390.0
ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	252.4	330.0	390.0
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	824.4	2,018.1	6,549.3
ბინათმშენებლობა	395.9	974.9	2,170.4
წყალმომარაგება	91.4	165.7	104.0
გარე განათება	4.1	323.6	571.1
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	333.0	553.9	3,703.8
ჯანმრთელობის დაცვა	45.0	45.0	52.2
საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	45.0	45.0	52.2



დასვენება, კულტურა და რელიგია	496.7	530.0	765.5
მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	138.3	150.0	177.0
რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა			50.0
მომსახურება კულტურის სფეროში	358.4	380.0	538.5
განათლება	395.1	525.0	1,479.1
სკოლამდელი აღზრდა	339.3	460.0	530.0
განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	55.8	65.0	949.1
სოციალური დაცვა	276.4	297.0	288.0
ხანდაზრდასა და სოციალური დაცვა	90.0	90.0	90.0
ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0
სოციალური გაუმჯობესების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	49.8	55.0	66.0
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	136.6	152.0	122.0
სულ	6,299.0	10,207.7	19,970.3

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი 5169.6 სალდო .

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

- განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების 5169.6 ცვლილება .
- განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური 5169.6 აქტივების კლება .

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით საგანგებო ან/და გაუთვალისწინებელი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, შეიქმნას სარეზერვო ფონდი და განისაზღვროს 120.0 ათასი ლარის ოდენობით, რომელსაც განკარგავს მუნიციპალიტეტის მერი საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო თანხების გამოყოფა განხორციელდეს დმანისის მერის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 1008,1 ათასი ლარი, მიიძღვროს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 52.2 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 75.8 ათასი ლარი;



გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 2,0 ათასი ლარი;

დ) საჯარო სკოლების მცირე სარიაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის 520.0 ათასი ლარი;

ე) საჯარო სკოლების ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის 358,1 ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2019-2022 წლების პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

დმანისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2019 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქალაქში წყალ-მომარაგების, საკანალიზაციო სისტემისა და გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების და ფასადების რეაბილიტაცია, შადრევნების, სპორტული მოედნების და დასვენების პარკის მოვლა-შენახვა. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებიდან გამომდინარე მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითი ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში გზის საფარის მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას და მშენებლობის სამუშაოების ჩატარებას, როგორცაა გზების მიმდინარე (ორმული) და ფრაგმენტული შეკეთება. გზების ქვიშა-ხრეშოვანი მასალით მოწყობა, ქუჩების ტროტუარების მიმდინარე კაპიტალური შეკეთება, გზებზე ასფალტ/ბეტონის დაზიანებულ მონაკვეთებზე ბზარების დამუშავება; პროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა. გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება რაც ხელს შეუწყობს ქუჩების და გზების განტვირთვას სატრანსპორტო ნაკადისგან და ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, კერძოდ:

ქ. დმანისში დარჩენილი ქუჩების და ჩიხების მოასფალტება, ასევე გათვალისწინებულია სოფ. მთისძირის და ოროზმანის შიდა გზების რეაბილიტაცია, ხოლო სოფ. ტნუსში ცენტრალური გზის და მაშავერაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის და სანიაღვრე არხის მოწყობა, ხოლო სოფელ ირგანაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის, სოფ. კამიშლოში მისასვლელი გზის და შიდა გზის, სოფელ იფნარიდან სოფელ ბახჩალარისაკენ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. დმანისის სიონის (ნაქალაქარის) მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (570გრძმ) სანიაღვრე არხების და საპარკინგე სივრცეების მოწყობა. სოფ.განთიადის შიდა გზების რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა და სოფ.გოდაგდაგში სანიაღვრე არხის მოწყობა, რისთვისაც გათვალისწინებული იქნება 6286.4 ათასი ლარი.



ტექ.ზედამხედველობის განხორციელებისთვის გათვალისწინებული იქნება 179,7 ათასი ლარი.

საქართველოს რეგიონებში განსაზღვრული პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტისთვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტების შესაბამისად სულ 1190,9 ათასი ლარი მათ შორის 2018 წლის სამუშაოების თანადაფინანსება 503.1 ათასი ლარი.

ტექ.ზედამხედველობის განხორციელებისთვის გათვალისწინებული იქნება 258,1 ათასი ლარი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა.
- მოსახლეობის ეკონომიკური საქმიანობისათვის ხელსაყრელი სატრანსპორტო მიმოსვლა;
- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;
- გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მეტი რეაბიტირებული გზა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი საავტომობილო გზების მახასიათებლები;
- საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა;
- გადაადგილები დრო და სატრანსპორტო ხარჯები;
- მოსახლეობის კმაყოფილების მაჩვენებელი;

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოებში წყალ-მომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსება. ასევე გარე განათების ქსელის მოწყობა და მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

1.2.1. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 030201)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის წყლის რეზერვუარების გაწმენდა-შეკეთება და რეაბილიტაცია, სოფლის მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდება, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობა და მიმდინარე სამუშაოების შესრულება.

1.2.2 ბინათმშენებლობა პროგრამული კოდი 03 02 02

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. დმანისში მრავალსართულიანი შენობების საცხოვრებელი ბინების ფასადების და სახურავების რეაბილიტაცია. რისთვისაც გათვალისწინებულია 1051,5 ათასი ლარი და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყოფილია მთავრობის განკარგულებით 2019წ 26 თებერვალი №336 290,0 ათასი ლარი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაციის და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის შესყიდვისთვის 627,6 ათასი ლარი. (სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ტიპური შენობის აშენება და სოფ. ამამლოში და გუგუთში ამბულატორიის მშენებლობა, ხოლო სოფ. გომარეთში არსებული ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია.

ტექ.ზედამხედველობის განხორციელებისთვის გათვალისწინებული იქნება 61,0 ათასი ლარი.

1. 2.3. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არსებული ქსელის მოვლა-შენახვა. სოფ. ანგრევანში, ახალ გოდაგდაგში, ქვ. კარაბულახში, ზემო კარაბულახში, საკირეში, გორაში, აზ. კაკლიანში, გუგუთში, კამიშლოში, განახლებაში, დიდი დმანისში, ვარდისუბანში, კამარლოს ორ ქუჩაზე და ქალაქ დმანისში გამორჩენილი უბნების გარე განათების ქსელის მოწყობა. რისთვისაც გათვალისწინებულია 600,5 ათასი ლარი.

ტექ.ზედამხედველობის განხორციელებისთვის გათვალისწინებული იქნება 20,6 ათასი ლარი.



1. 2.4. დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია ქალაქ დმანისის ცენტრალურ ქუჩებზე ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება, ხოლო სოფლებში შედარებით ნაკლები ინტერვალით ნარჩენების გატანა კვირაში 3 დღე, ასევე გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება.

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდ თოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარაში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- განათებული მუნიციპალიტეტი;
- გაუმჯობესებული კომუნალური ინფრასტრუქტურა;
- სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება;
- ეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება;
- ქუჩების, მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისგან გაწმენდა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ექსპლოატაციაში არსებული სანათი წერტილების რაოდენობა;
- რეაბილიტირებული კომუნალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობა;
- გატანილი ნარჩენების რაოდენობა;
- განათებული ქუჩების რაოდენობა და განათების ინტენსიობა;
- დასუფთავებული ტერიტორიის ფართობი;

კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია; სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობა, მოვლა-პატრონობა; სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობა; მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარიული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

ქ. დმანისში არსებული მინისტადიონების ნოხების შეძენა და სტადიონის რეაბილიტაცია. ქ. დმანისში 9 აპრილისა და ჩოლოყაშვილის ქუჩების კვეთასთან მინი სტადიონის და სკვერის მოწყობა, ასევე ქ. დმანისში თავისუფლების ხეივნის სკვერის მიმდებარე სივრცეების და შადრევნის ტერიტორიის რეაბილიტაცია. ხოლო სოფ. განთიადში სარიტუალო სახლის კეთილმოწყობა. ასევე გათვალისწინებულია სოფ. დიდ დმანისში, ვარდისუბანში, გომარეთში, ჯავახში, მაშავერაში მინი სტადიონის და სკვერის მოწყობა რისთვისაც გათვალისწინებულია 2133,0 ათასი ლარი.

ტექ. ზედამხედველობის განხორციელებისთვის გათვალისწინებული იქნება 73,6 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის სოფლების და ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ქუჩების ქვისა-ხრეშოვანი მასალით მოწყობა, ქუჩების ტერიტორიების მიმდინარე კაპიტალური შეკეთება, სკვერების, მეომორიალების და ძეგლების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.

მოსალოდნელი შედეგი

- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;
- მოსახლეობისათვის უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს შექმნა, საცხოვრებელი პირობების



შედეგის შეფასების ინდიკატორები

- კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა

1.3.1 ქალაქის კეთილმოწყობის, საპროექტო დოკუმენტაციის და ნახაზების მომზადების ხარჯი (პროგრამული კოდი 03 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სკვერების, გაზიონების მოვლა-პატრონობა, ხე მცენარეების შეწამვლა, სანაგვე ქუჩების შენობა-ნაგებობების საკადასტრო რუკებისა და ნახაზების მომზადება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა
- მოსახლეობისათვის უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს შექმნა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას. ყველა ბაღში დაგეგმილია შენობების კაპიტალური რემონტი და მათი ტერიტორიის კეთილმოწყობა.

2. 1. სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 9 საბავშვო ბაღი 12 ჯგუფით, სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 360 ბავშვის ოდენობით, თითოეულ ჯგუფში დასაშვებია კონტინგენტი არაუმეტეს 35 ბავშვისა, რომელსაც ემსახურება 48 საშტატო ერთეული.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

- სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა მოსახლეობის ყველა ფენისათვის;
- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა
- გაუმჯობესებული და უსაფრთხო სააღმზრდელო გარემო
- საბავშვო ბაღებში რეგისტრირებული აღსაზრდელოთა ჭარბი რაოდენობის განტვირთვა
- საბავშვო ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და დასაქმების ხელშეწყობა

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საბავშვო ბაღების და მათი აღსაზრდელების რაოდენობა
- კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღები;

2.2. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მოსახლეობას დასაქმებაში და მიცეს საშუალება დაეუფლონ იმ უნარ-ჩვევებს რაც ხშირ შემთხვევაში აუცილებელი პირობაა სტაბილური დასაქმებისათვის. აღნიშნული მიზნით პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ინგლისურისა და ქართული ენის შემსწავლელი კურსები. სადაც ფუნქციონირებს 12 ჯგუფი და თითოეულ ჯგუფში გაერთიანებულია 15-



15 მოსწავლე, რომლის რაოდენობაც საშუალოდ შეადგენს -180 მოსწავლეს. დმანისის მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებელს ექნება საშუალება შესაბამისი განაცხადის საფუძველზე გაიაროს აღნიშნული კურსები, რაც აამაღლებს მათ კვალიფიკაციას და ხელს შეუწყობს მათ შემდგომ დასაქმებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სექტორში კვალიფიციური პედაგოგების მოზიდვა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მუნიციპალიტეტის ფარგლების გარედან მოწვეული პედაგოგების რაოდენობა;

3. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტი ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შემდგომ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს;

3. 1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2019 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და მოხდება მათი დაფინანსება:

- სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს 176-მდე სპორტსმენს;

3.1.1. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება(პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამა მოიცავს სკოლის მოსწავლეთა ჩართულობას სპორტულ შეჯიბრებებში, რაც უდავო ასახავს ჰპოვებს შემდგომ ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში.

2019 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები, უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა ტურნირებზე და შეჯიბრებებზე ადგილობრივი სპორტსმენების მონაწილეობა, წახალისდებიან წარმატებული სპორტსმენები სხვადასხვა ჯილდოთი.

3.1.2. სპორტული სკოლები (პროგრამული კოდი 05 01 02)

2019 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტული სკოლა, რომელშიც ფუნქციონირებს „ძიუდოს“ 5 ჯგუფი, სადაც გაერთიანებულია 80 მოსწავლე, ჭადრაკის 2 ჯგუფში 16 მოსწავლე, ფეხბურთის 2 ჯგუფში 32 მოსწავლე, თავისუფალი ჭიდაობის, ორთაბრძოლა, ტაეკვანდოს თითო-თითო ჯგუფში გაერთიანებულია 16 მოსწავლე და სამივე სახეობაში მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრულია 48 ერთეული და ჯამში სპორტული სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 176-მდე მოსწავლეს;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- აქტიური სპორტსმენების რაოდენობის ზრდა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;
- სპორტის სხვადასხვა სახეობაში მედალოსან სპორტსმენთა რაოდენობა;



3. 2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები, რომელიც ემსახურება ქართული და საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების ხელოვნების დარგების აღდგენა-პროპაგანდას.

2019 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: კულტურის სახლი სადაც ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სახის წრეები რომელშიც სწავლობს 148-მდე მოსწავლე, ხოლო მუსიკალურ სკოლებში სწავლობს -80-მდე მოსწავლე და ემსახურება 10 პედაგოგი, რომლის კვირეული დატვირთვა სავარაუდოდ თითოეულ პედაგოგზე შეადგენს 18 საათს და მიმდინარეობს სწავლება ფორტეპიანოს განხრით და ბიბლიოთეკის გაერთიანებას რომელიც ემსახურება სოფლის 4 ბიბლიოთეკას .

პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის ობიექტების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია;

3.2.1. კულტურის ცენტრის დაფინანსება (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01)

